ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. აპრილის 11 № 10 თბილისი.

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

39. სარეწაო კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
40. 1938 წელს წყალდიდობასთან საბრძოლველად ხე-ტყისა და წნელის გაცემის წესის შესახებ.
41. 1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.
42. ნაყინით ვაჭრობის შესახებ.
43. 1938 წელს ნატურალური მატყლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.
44. საქართველოს სსრ კინომრეწველობისა და კინოფიკაციის სახელმწიფო ტრესტის (საქართველოს სახკინმრეწვის) ლიკვიდაციისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კინოფიკაციის სამმართველოს შექმნის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

39. სარეწაო კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.

1. აღინიშნოს, რომ სარეწაო კავშირის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა ვერ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნილებებსა და საქართველოს კოოპერაციის წინაშე დასახულ ამოცანებს.

2. მიღებულ იქნას სარეწაო კოოპერაციის სრულიად-საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება, რათა ნაცვლად სარეწაო კავშირის არსებული პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმისა დარგობრივი სამმართველოებით, მოეწყოს საქსარეწაო საბჭო და 8 სპეციალიზებული კავშირი:

1) საფეიქრო, სატრიკოტაჟო-სამკერვალო კავშირი,
2) ტყავსარემონტო კავშირი,
3) გემო-კვების კავშირი,
4) ლითონკავშირი,
5) ქიმკავშირი,
6) საშენმასალათა კავშირი,
7) სატრანსპორტო კავშირი,
8) სხვადასხვა რეწაობის კავშირი.

დატოვებულ იქნას აჭარის და აფხაზეთის სხვადასხვა რეწაობის კავშირები:

3. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს (საქსარეწსაბჭოს) დაეკისროს სისტემის საერთო ხელმძღვანელობა, სადირექტივო და პერსპექტიული დაგეგმვა, კადრების ნაერთი აღრიცხვა და მომზადება. არტელების ოპერატიული ხელმძღვანელობა დაეკისროს ახლად დაარსებულ სპეციალიზებულ კავშირებს.

4. საქსარეწსაბჭოს 1938 წლის საერთო შტატი განისაზღვროს არაუმეტეს 66 კაცისა და თვითეულ კავშირში—საშუალოდ არაუმეტეს 30 საშტატო ერთეულისა.

5. დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს შეიმუშაოს და სარეწაო კოოპერაციის სრულიად საკავშირო საბჭოს წარუდგინოს ახლად მოწყობილი სპეციალიზებული კავშირებისა და საქსარეწსაბჭოს შტატები დაწესებული საშტატო კონტინგენტის ფარგლებში.

6. ახალი კავშირების მოსაწყობად და ყრილობისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს შექმნას კავშირების ორგბიურო 3 კაცის შემადგენლობით თვითეული.

7. სარეწაო კავშირის სისტემის რეორგანიზაციის ჩატარება დაეკისროს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს და რეორგანიზაცია დამთავრდეს 1938 წლის 20 მარტამდე.

8. გაუქმებულ იქნას:

1) კარი 1 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 აგვისტოს დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციის და სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 21, მუხ. 192; 1933 წ. № 4, მუხ. 49);

2. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 14 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციის და მისი აპარატის გადასინჯვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 12, მუხ. 117).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 11. № 334.
თბილისი.

---

40. 1937 წელს წყალდიდობასთან საბრძოლველად ხე-ტყისა და წნელის გაცემის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

წინადადება მიეცეს საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველოს, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს, თბილისის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტს, აგრეთვე ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ტყეები, ხე-ტყის მასალის და წნელის გაცემა 1938 წელს წყალდიდობასთან ბრძოლის საჭიროებისათვის აწარმოონ უფასოდ წყალდიდობასთან მებრძოლი რაიონული კომისიების განაცხადების მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 13. № 345.
თბილისი.

---

41. 1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 5 მარტის № 102 დადგენილებისა „1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში 1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 3693,5 ტონის რაოდენობით, რეალიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის გეგმა—87.700 კოლოფი თესლი და პარკის საშუალო გამოსავალი ერთი კოლოფი თესლიდან 42,1 კილოგრამი, აქედან;

გაზაფხულის გამოკვების: 3423,5 ტონა, თესლის რეალიზაციის გეგმა 78.700 კოლოფი და აბრეშუმის პარკის საშუალო გამოსავალი ერთი კოლოფი თესლიდან 43,5 კილოგრამი.

ზაფხულის გამოკვების: 270 ტონა, თესლის რეალიზაციის გეგმა 9.000 კოლოფი და აბრეშუმის პარკის საშუალო გამოსავალი ერთი კოლოფი თესლიდან 30 კილოგრამი.

2. დამტკიცდეს 1938 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შემდეგი განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებში გაზაფხულის და ცალკე ზაფხულის გამოკვების მიხედვით (იხ. დანართი № 1).

3. წინადადება მიეცეს საქართველოს აბრეშუმის ტრესტს უზრუნველჰყოს გაზაფხულის გამოკვების პარკის კონტრაქტაციის დამთავრება არაუგვიანეს 1938 წლის 5 აპრილისა.

4. დატოვებულ იქნას 1938 წლისათვის „1937 წლის გაზაფხულზე გამოკვებილი აბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის ს. კ. ს-ოს 1937 წ. თებერვლის 8-ის № 226 დადგენილებით დაწესებული ოდენობა ფულადი ავანსის გაცემისა, აბრეშუმის პარკის ჩამბარებელთათვის, აბრეშუმის პარკის გეგმის ზევით ჩაბარებისათვის პრემია-წანამატის მიცემის წესი, გაცემული პრემია-წანამატების მრეწველობის მიერ დაფარვის წესი და გაზაფხულისა და განმეორებითი გამოკვების აბრეშუმის პარკის დასამზადებელი ფასები.

5. ნება დაერთოს საქართველოს აბრეშუმის ტრესტს ჩაატაროს 1938 წელს ცდის სახით აბრეშუმის პარკის მიღება მეაბრეშუმეებისაგან ხარისხის მიხედვით წულუკიძის რაიონში.

დაწესდეს, რომ მეაბრეშუმეები, რომლებიც ჩააბარებენ პარკს დახარისხებული სახით, მიიღებენ დამატებით ხარისხობრივი ფასებისა, რაც სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის მიერ უნდა იქნას დაწესებული, 25 კაპიკს ყოველ კილოგრამ პარკში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყონ 6.350.000 მანეთის სასოფლო ასორტიმენტის აბრეშუმის საქონლის ფონდის შეტანა აბრეშუმის პარკის დამზადების რაიონებში პარკის შემოსვლის დაწყების მომენტისათვის პარკის ჩამბარებლებზე მისასყიდად.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ მ ა

1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ (გაზაფხულის და ზაფხულის გამოკვებით)

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	გაზაფხულის გამოკვება			ზაფხულის გამოკვება		
	თესლის რეალიზაციის გეგმა (კოლოფ.)	პარკის საშუალო გამოსავალ. 1 კოლ. თესლ. (კლგ.)	პარკის დამზად. გეგმა (ცენტნ.)	თესლის რეალიზ. გეგმა (კოლოფი)	პარკის საშუალო გამ. 1 კ. თესლიდან (კგრ.)	პარკის დამზად. გეგმა (ცენტნ.)
1. თბილისის	260	36	93,6	—	—	—
2. საგარეჯოს	150	36	54,0	—	—	—
3. ბორჩალოს	315	36	113,4	—	—	—
4. ლუქსემბურგის	140	39	54,6	—	—	—
5. გორის	90	35	31,5	—	—	—
6. ხაშურის	60	35	21,0	—	—	—
7. კასპის	200	36	72,0	—	—	—
8. გურჯაანის	940	46	432,4	—	—	—
9. სიღნაღის	880	49	431,2	—	—	—
10. ლაგოდეხის	1450	41	594,5	200	30	60,0
11. თელავის	1540	45	693,0	100	30	30,0
12. ყვარლის	1600	39	643,5	200	30	60,0
13. ზესტაფონის	1600	48	768,0	250	30	75,0
14. ორჯონიკიძის	425	47	199,8	30	30	9,0
15. ჭიათურის	375	39	146,2	30	30	9,0
16. ჩხარის	1475	43	634,3	200	30	60,0
17. ქუთაისის	5000	55	2750,0	500	30	150,0
18. ტყიბულის	200	35	110,0	20	30	6,0
19. ბაღდათის	1050	42	441,0	100	30	30,0
20. სამტრედიის	5750	48	2760,0	550	30	165,0
21. წულუკიძის	4350	47	2044 5	400	30	120,0
22. ვანის	3795	45	1707,0	400	30	120,0
23. აბაშის	3950	42	1659,0	250	30	75,0
24. ცხაკაიას	3450	40,1	1383,5	300	30	90,0
25. ფოთის	425	43	182,7	30	30	9,0
26. გეგეჭკორის	4700	40	1880,0	700	30	210,0
27. ზუგდიდის	5450	45	2452,5	1000	30	300,0
28. ხობის	2700	40	1080,0	200	30	60,0
29. წალენჯიხის	2100	41	861,0	200	30	60,0
30. ჩხოროწყუს	3100	43	1333,0	250	30	75,0
31. მახარაძის	4350	42	1827,0	750	30	225,0
32. ლანჩხუთის	4570	40	1828,0	600	30	180,0
33. ჩოხატაურის	3300	42	1386,0	500	30	150,0
34. ამბროლაურის	410	37	151,0	50	30	15,0
35. ცაგერის	700	37	259,0	50	30	15,0
36. აჭარის ასსრ	730	40	292,0	100	30	30,0
37. აფხაზეთის ასსრ	7070	40,5	2863,4	1040	30	312,0
ხულ საქართვ. ხსრ	**78700**	**43 5**	**34235 0**	**9000**	**30**	**2700,0**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის მიყიდვა აბრეშუმის პარკის ჩამბარებლებზე მოხდეს კოოპერაციის მეშვეობით მას შემდეგ, რაც მეაბრეშუმეები წარადგენენ დამამზადებელი პუნქტების მისაღები ორდერების ასლებს, მათ მიერ ჩაბარებული პარკის ღირებულების 20%-ის რაოდენობით.

7. გადასაყვანი ქაღალდის, საფენი ქაღალდის, ფორმალინის, კირის, მეაბრეშუმეობის წვრილი ინვენტარის მიწოდება მეაბრეშუმეებისათვის მოხდეს თვითღირებულების ფასებში ნისიად, აბრეშუმის პარკის ჩაბარებამდე.

8. აბრეშუმის თესლის (მურის) მიყიდვა მეაბრეშუმეებზე მოხდეს ნისიად აბრეშუმის პარკის ჩაბარებამდე 11 მან. და 25 კაპეიკად ერთი 25 გრამიანი კოლოფი თესლი.

9. წინადადება მიეცეს მიწსახკომს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს:

ა) უზრუნველჰყონ 1938 წლის 1 ივლისისათვის არანაკლებ 4 მექანიკური საშრობი მანქანის "სიმპლექსის" დადგმა, 5 ჩრდილოვანი ფარდულის აშენება, აგრეთვე არსებული საშრობი მანქანებისა და ფარდულების კაპიტალური რემონტის ჩატარება;

ბ) მოაწყონ 1938 წელს კოლმეურნეობებსა და საჯიშე პუნქტებში მუხის აბრეშუმის ჭიის საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოკვება იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს 5,6 ტონა ნედლი (ცოცხალი) პარკის მიღებას.

10. მუხის აბრეშუმის ჭიის გაშენების სტიმულირების მიზნით, უფლება მიენიჭოს კოლმეურნეობებს უფასოდ ისარგებლონ ფოთლით მუხის აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად.

11. დამტკიცდეს 1938 წლის საზაფხულო-საშემოდგომო გამოკვებისათვის თესლის მომზადების გეგმა 10.800 კოლოფი გიბრიდის თესლის რაოდენობით.

12. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას უზრუნველჰყოს საჭირო კრედიტების დროულად გაცემა 1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადებისათვის.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს აბრეშუმის ტრესტს:

ა) ჩაატაროს მეაბრეშუმე კოლმეურნეებს შორის მასობრივი მუშაობა იმ მხრივ, რომ გააცნოს მათ საუკეთესო მეაბრეშუმე სტახანოველთა მეთოდები და მიღწევები აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმეში;

ბ) უზრუნველჰყოს თესლის 100% ინკუბაცია და ჭიების დროულად მიცემა მეაბრეშუმეებისათვის;

გ) გამოკვების დაწყებამდე ჩაატაროს ჭიების გამოსაკვები ბინების დეზინფექცია ყველა მეურნეობაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დეზინფექციის გულმოდგინედ ჩატარებას იმ მეურნეობებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა ჭიების დაავადებას 1937 წელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უზრუნველჰყოს მეაბრეშუმეობის მეურნეობანი სათანადო აგროტექ-ტაქით და კონკრეტული ხელმძღვანელობით ჭიების გამოკვების პროცესში, განსაკუთრებით პირველი ორი ასაკის პერიოდში.

14. იმასთან დაკავშირებით, რომ გასულ წელს მთელ რიგ რაიონებში (ყვარლის, თელავის და ა. შ.) ადგილი ჰქონდა თუთის ნარგავების მტაცებლური ექსპლოატაციის ფაქტებს, წინადადება მიეცეს მეაბრეშუმეობის რაიონების რაიონ-ალმასკომებს უზრუნველჰყონ თუთის არსებული ნარგავების ნორმალური მოვლა და ექსპლოატაცია, ძირშივე აღკვეთონ თუთის ნარგავების მტაცებლური გაჩეხვისა და ექსპლოატაციის შემთხვევები და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ დამნაშავე პირები.

დაევალოს ყველა რაიალმასკომებს უზრუნველჰყონ მეთუთეობის იმ გეგმების უცილობრივი შესრულება, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მიწათსახკომის მიერ.

15. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოებს, მეაბრეშუმეობის რაიონების რაიალმასკომებს უზრუნველჰყონ აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის დროულად და სანიმუშოდ ჩატარება, მურის მიცემა მეაბრეშუმეებისათვის ისე, რომ არ გააჩერონ იგი საინკუბაციო კამერებში გამოცოცხლების შემდეგ, სისტემატური კონტროლი გაუწიონ მეაბრეშუმეების მიერ ჭიების გამოკვებას, უზრუნველჰყონ სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლა სოფლებსა და მეაბრეშუმეებს შორის, მეაბრეშუმეობის დარგის მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების დანერგვა მეაბრეშუმეთა ფართო მასებში და ყველა საჭირო ღონისძიების გატარებით უზრუნველჰყონ აბრეშუმის პარკის დამზადების დაწესებული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

საქართველოს სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 17. № 361.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის მიყიდვა აბრეშუმის პარკის ჩამბარებლებზე მოხდეს კომპენსაციის მეშვეობით მას შემდეგ, რაც მეაბრეშუმეები წარადგენენ დამამზადებელი პუნქტების მისაღები ორდერების ასლებს, მათ მიერ ჩაბარებული პარკის ღირებულების 20%-ის რაოდენობით.

7. გადასაყვანი ქაღალდის, საფენი ქაღალდის, ფორმალინის, კირის, მეაბრეშუმეობის წვრილი ინვენტარის მიწოდება მეაბრეშუმეებისათვის მოხდეს თვითღირებულების ფასებში ნისიად, აბრეშუმის პარკის ჩაბარებამდე.

8. აბრეშუმის თესლის (მურის) მიყიდვა მეაბრეშუმეებზე მოხდეს ნისიად აბრეშუმის პარკის ჩაბარებამდე 11 მან. და 25 კაპეიკად ერთი 25 გრამიანი კოლოფი თესლი.

9. წინადადება მიეცეს მიწსახკომს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს:

ა) უზრუნველჰყონ 1938 წლის 1 ივლისისათვის არანაკლებ 4 მექანიკური საშრობი მანქანის "სიმპლექსის" დადგმა, 5 ჩრდილოვანი ფარდულის აშენება, აგრეთვე არსებული საშრობი მანქანებისა და ფარდულების კაპიტალური რემონტის ჩატარება;

ბ) მოაწყონ 1938 წელს კოლმეურნეობებსა და საჯიშე პუნქტებში მუხის აბრეშუმის ჭიის საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოკვება იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს 5,6 ტონა ნედლი (ცოცხალი) პარკის მიღებას.

10. მუხის აბრეშუმის ჭიის გაშენების სტიმულირების მიზნით, უფლება მიენიჭოს კოლმეურნეობებს უფასოდ ისარგებლონ ფოთლით მუხის აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად.

11. დამტკიცდეს 1938 წლის საზაფხულო-საშემოდგომო გამოკვებისათვის თესლის მომზადების გეგმა 10.800 კოლოფი გიბრიდის თესლის რაოდენობით.

12. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას უზრუნველჰყოს საჭირო კრედიტების დროულად გაცემა 1938 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადებისათვის.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს აბრეშუმის ტრესტს:

ა) ჩაატაროს მეაბრეშუმე კოლმეურნეებს შორის მასობრივი მუშაობა იმ მხრივ, რომ გააცნოს მათ საუკეთესო მეაბრეშუმე სტახანოველთა მეთოდები და მიღწევები აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმეში;

ბ) უზრუნველჰყოს თესლის 100% ინკუბაცია და ჭიების დროულად მიცემა მეაბრეშუმეებისათვის;

გ) გამოკვების დაწყებამდე ჩაატაროს ჭიების გამოსაკვები ბინების დეზინფექცია ყველა მეურნეობაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დეზინფექციის გულმოდგინედ ჩატარებას იმ მეურნეობებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა ჭიების დაავადებას 1937 წელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უზრუნველჰყოს მეაბრეშუმეობის მეურნეობანი სათანადო აგრონომიუ
ტაჟით და კონკრეტული ხელმძღვანელობით ჭიების გამოკვების პროცესში, გან
საკუთრებით პირველი ორი ასაკის პერიოდში.

14. იმასთან დაკავშირებით, რომ გასულ წელს მთელ რიგ რაიონებშ
(ყვარლის, თელავის და ა. შ.) ადგილი ჰქონდა თუთის ნარგავების მტაცებლურ
ექსპლოატაციის ფაქტებს, წინადადება მიეცეს მეაბრეშუმეობის რაიონების რაი
აღმასკომებს უზრუნველჰყონ თუთის არსებული ნარგავების ნორმალური მოვლ
და ექსპლოატაცია, ძირშივე აღკვეთონ თუთის ნარგავების მტაცებლური გაჩე
ხვისა და ექსპლოატაციის შემთხვევები და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ დამნა
შავე პირები.

დაევალოს ყველა რაიაღმასკომებს უზრუნველჰყონ მეთუთეობის იმ გეგმე
ბის უცილობრივი შესრულება, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მიწ
სახკომის მიერ.

15. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ
კომიტეტებს, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოებს, მეაბრეშუმეობის რაიო
ნების რაიაღმასკომებს უზრუნველჰყონ აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციი
დროულად და სანიმუშოდ ჩატარება, ბურის მიცემა მეაბრეშუმეებისათვის ის
რომ არ გააჩერონ იგი საინკუბაციო კამერებში გამოცოცხლების შემდეგ, სისტე
მატური კონტროლი გაუწიონ მეაბრეშუმეების მიერ ჭიების გამოკვებას, უზრუნ
ველჰყონ სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლა სოფლებსა და მეაბრეშუმეებს შორის
მეაბრეშუმეობის დარგის მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების დანერგვა მე
აბრეშუმეთა ფართო მასებში და ყველა საჭირო ღონისძიების გატარებით უზრუნ
ველჰყონ აბრეშუმის პარკის დამზადების დაწესებული გეგმის მთლიანად და გა
დაჭარბებით შესრულება.

საქართველოს სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 17. № 361.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44.20

42. ნაყინით ვაჭრობის შესახებ.

ქალაქ თბილისის ნაყინზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების და მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს თბილმაცივარკომბინატს მოაწყოს ნაყინით ვაჭრობა სანახაობათა ყველა საწარმოში (თეატრები, კინოები და ცირკი, სტადიონები, კულტურისა და დასვენების პარკი და სხვ.).

ნაყინით ვაჭრობა აწარმოოს სანახაობათა საწარმოების როგორც ფოიეში, ისე საყურებელ დარბაზებშიც, ამასთან მტკიცედ დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უზრუნველჰყოს სპეციალური ადგილების გამოყოფა ყველა თეატრსა და კინოში თბილმაცივარკომბინატისათვის, რათა მოეწყოს ნაყინის ვაჭრობა ჩამოტარებით.

3. სანახაობათა საწარმოებში, აგრეთვე კულტურისა და დასვენების პარკში, სტადიონებზე და სხვ. ნაყინის სავაჭროდ ადგილების დათმობისათვის გადახდეს თბილმაცივარკომბინატს საიჯარო ქირა ნაყინის ფაქტიური ბრუნვის არაუმეტეს 5%-ისა, რომელშიაც შევა ყოველგვარი კომუნალური მომსახურების გადასახდელი.

4. თბილისის საბჭომ ერთი დეკადის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს სავაჭრო ქსელის დისლოკაცია თბილმაცივარკომბინატის, სარძეო ქარხნის და მარგარინის ქარხნის ნაყინის რეალიზაციისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 19. № 375.
თბილისი.

---

43. 1938 წელს ნატურალური მატყლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 10 მარტის № 114 დადგენილებისა „1938 წელს ნატურალური მატყლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1938 წლისათვის კოლმეურნეობებისაგან, კოლმეურნეებისაგან და ერთპიროვნულ მეურნეებისაგან ნატურალური მატყლის სახელმწიფო

შესყიდვის (მათ მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების კალენდარულ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ) გეგმა 10.600 ცენტნერის რაოდენობით, აქედან მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით („სოიუზზაგოტშერსტი")—7.800 ცენტნერი და ცეკავშირის სისტემის ხაზით („საქცხოველნედლეულის") 2.800 ცენტნერი შემდეგი განაწილებით ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად თანდართული ცხრილისა.

2. ნება დაერთოს მატყლის ძირითად დამამზადებლებს—„სოიუზზაგოტშერსტის" საქართველოს კანტორას და საქცხოველნედლეულს დასდონ 1938 წელს კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებანი მატყლის ზედმეტი რაოდენობის გაყიდვა-შესყიდვის შესახებ იმ პირობებში, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 აპრილის დადგენილებით 1936 წ. საბჭოთა მეურნეობების მიერ მატყლის ჩაბარების გეგმის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 27, მუხ. 260).

3. აეკრძალოს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან დაშვებული მატყლის დამზადებაზე, მატყლის შესყიდვა მეურნეობებში და ბაზრებზე, აგრეთვე ხელშეკრულებების დადება მატყლის მწარმოებელ მეურნეობებთან მატყლის ან მატყლის ნაწარმის გაყიდვაზე.

4. ძირითადი დამამზადებლები „სოიუზზაგოტშერსტის" საქართველოს კანტორა და საქცხოველნედლეული მატყლის შესყიდვას აწარმოებენ ნატურალური მატყლის შესასყიდ ფასებში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 აპრილის დადგენილებით 1936 წ. საბჭოთა მეურნეობების მიერ მატყლის ჩაბარების გეგმის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 27, მუხ. 260). აგრეთვე წმინდა და ნახევრად უხეშ მატყლში აძლევენ ჯილდო-წანამატებს, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 7 მარტის დადგენილების IV კარის 7,8 და 9 მუხლებით.

5. დაევალოს ცეკავშირს დააკომპლექტოს ახალქალაქის, ახალციხის, ალგულაღის, ასპინძის, ბოგდანოვკის, გორის, ლუქსემბურგის და თბილისის რაიონამომხმარებლო კავშირების დამამზადებელი კანტორები და "აბსოიუზი" მატყლის დარგის სპეციალური მუშაკებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 31. № 404.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲔᲒᲛᲐ

1938 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐ

(ცენტნერებით)

„სოიუზზაგოტშერსტი"-ს რაიონები:	გეგმა
სიღნაღის	2380,0
თელავის	920,0
ყარაიას	660,0
ბორჩალოს	460,0
დუშეთის	660,0
საგარეჯოს	340,0
ბაშკიჩეთის	240,0
ყაზბეგის	560,0
ცხინვალის	120,0
ლენინგორის	620,0
გურჯაანის	250,0
თიანეთის	150,0
ყვარლის	180,0
წალკის	260,0
სულ „სოიუზზაგოტშერსტის" ხაზით	**7800,0**
სამომხმარებლო კოოპერაცია	
ახალქალაქის	380,0
ბოგდანოვკის	380,0
ახალციხის	110,0
ასპინძის	70,0
ადიგენის	40,0
ხაშურის	60,0
გორის	150,0
კასპის	110,0
ბორჯომის	65,0
ლაგოდეხის	35,0
თბილისის	650,0
ლუქსემბურგის	220,0
აღბულახის	255,0
წალენჯიხის	80,0
აჭარის ასსრ	135,0
აფხაზეთის ასსრ	60,0
სულ სამომხმ. კოოპერაც. ხაზით	**2800,0**
სულ საქართველოს სს რესპუბლიკ.	**10600,0**

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. საქართველოს სსრ კინომრეწველობისა და კინოფიკაციის სახელმწიფო ტრესტის (საქართველოს სახკინმრეწვის) ლიკვიდაციისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კინოფიკაციის სამმართველოს შექმნის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 23 მარტის დადგენილებისა „სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის შექმნის შესახებ“, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ კინომრეწველობისა და კინოფიკაციის სახელმწიფო ტრესტი—“საქართველოს სახკინმრეწვი“, რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში.

2. გადაეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინომატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის სისტემაში:

ა) თბილისის კინო-სტუდია, რომელიც ამზადებს მხატვრულ, ქრონიკალურ და ტექნიკურ-სასწავლო კინოფილმებს (საქართველოს სახკინმრეწვის ლიკვიდირებული ტრესტის მხატვრული, ქრონიკალური და ტექნიკურ-სასწავლო ფილმების წარმოების განყოფილებანი);

ბ) „ფილმების მიმწოდებელი განყოფილება“ (საქართველოს სახკინმრეწვის ტრესტის კინოსურათების გამქირავებელი ორგანო);

გ) თბილისის გადამღები ფაბრიკა (საქართველოს სახკინმრეწვის მიმდინარე და მასობრივი ბეჭდვის წარმოების საამქრო);

დ) საქართველოს სახკინმრეწვთან არსებული კინო-აქტიორთა სკოლა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს ორი დეკადის ვადაში გადასცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის გამგებლობაში ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები აქტივითა და პასივით და 1938 წლისთვის მათთვის დაწესებული მთელი მატერიალური და ფინანსიური პირობებითა და ქონებით.

4. შეიქმნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კინოფიკაციის სამმართველო, როგორც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის ორგანო.

ტრესტ საქართველოს სახკინმრეწვის კინოქსელის არსებული განყოფილება და კაპიტალური მშენებლობის განყოფილება აქტივითა და პასივით შეუერთდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან ახლადმოწყობილ კინოფიკაციის სამმართველოს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადასცეს საქართველოს სსრ სახკომსაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოსთან ახლად მოწყობილ კინოფიკაციის სამმართველოს ლიკვიდირებული ტრესტის—სახკინმრეწვის მთელი კინოქსელი მთელი ქონებით, მატერიალური ღირებულებებით, ფულადი სახსრებით, აგრეთვე მთელი ლიმიტები და ფონდები, რომლებიც გამოყოფილია 1938 წლისათვის კაპიტალური მშენებლობის ხაზით კინოქსელის ნაწილში.

6. შეიქმნას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან კინოფიკაციის კომიტეტები, როგორც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ორგანოები.

7. გადაეცს აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან ახლადმოწყობილი კინოფიკაციის სამმართველოების გამგეობაში ტრესტ საქართველოს სახკინმრეწვის კინოქსელის იმ განყოფილებათა მთელი ქონება და მატერიალურ-საფინანსო ფონდები, რომლებიც აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებობენ.

8. დაევალოს ამხ. გიგოშვილს, გოგუას და ციმაკურიძეს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან ახლად შექმნილი სამმართველოს სტრუქტურა და შტატები.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკებს ერთი დეკადის ვადაში განიხილონ კინოფიკაციის ახლად შექმნილ სამმართველოთა სტრუქტურა და შტატები და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. აპრილის 8. № 430.
თბილისი.

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმ. მმართველობა 1938 წ. № 19. პ/მ. რედაქტორი **ი. ფელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 3/4 ბეჭდვ. ფურც; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 25/III, ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV; ტირაჟი 2.000.

მთავლიტის რწმ. № 2023. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკვ. № 419